

# საქმეები

შანი ერთი შური  
 —  
 წლიური ფასი სამი მან.  
 —  
 წელიწადი მეოთხე.

ქოველ-კვირული გაზეთი

კვირა, 7 აგვისტო 1911 წელი

რედაქცია უძორხილესად სთხოვს ხელის მომწერლებს და მ. მ. ბლადონებს გაზეთის წლიური ფასი დროზე მიკვებულონ.

ყოველ-კვირულ გაზეთ  
 ხელის მოწერაში  
 აღება რედაქციაში,  
 ქ. ქუთაისში (საბურ-  
 თაღო—კაზაკის შესახებ № 17). და თბილისში კომპლექტთან სამ-  
 ხის გაზარში, სომხანასტის უბნის მდებარეობაში, გამოეყოფილ თვეში ოთხი  
 ნომერი, ბმ. ხელის მომწერლებს ეთხოვო გაზეთის ფასი მიუღი წლის  
 ერთად გამოგზავნონ.

წლიურ ფასი: ||| 3 მანეთი. |  
 ნახ. წლი: ||| 2 მანეთი. |  
 ადრესი: ქუთაისი: „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაურის: 1) სინამდვილე სახარებისა (გაგრძელება);  
 2) კვირიკა-კვირამდე; 3) მ. იეროთეოს ნიკოლაძის  
 რედ. მდ. ს. შტედლიძისგან; 4) შასუნდ ქაჯეთელს  
 (საეკლესიო კადრების შესახებ) — მედ. ნაკაშიძის;  
 5) დეკ ტოდსტაის წერილი; 6) უცხოეთის მიმო-  
 სივლით — ისა; 7) წაღმა უკუღმა — კარილე წუთის-  
 ფლევისა; 8) წერილი რედაქციას მიმართ — ბლად.  
 მდ. თ. დუგლასის; 9) დეკ. მისე კენკუელი.

## სინამდვილე სახარებისა.

(გაგრძელება \*).

დარწმუნდენ თუ ირა, რომ იესო ქრისტე  
 ქეშმარიტად აღდგა მესამესა დღესა შემდეგ  
 სიკვდილისა, როგორც მან არა ერთხელ იწი-  
 ნასწარმეტყველა ამაზე, მოციქულებმა შეიგნეს,  
 რომ მისი ცხოვრების თითოეულმა შემთხვევამ  
 ზედმიწევნით გაამართლა ძველი აღთქმის წი-  
 ნასწარმეტყველების ნათქვამი მესსიას გამოცხა-  
 დების შესახებ, და მათ ირწმუნეს, რომ იგი  
 იყო მესსია, აღთქმული მხსნელი. ამიტომ, რო-  
 ცა მოგვიხსნებოდა საქმეთა გულსავესე  
 ქმნილთა მათ შორის, შეგნებულად.  
 ღრმა დარწმუნებით, ამბობენ: ესე იქმნა,  
 რათა წერილი აღესრულოს.

აი ეს აღსრულება, ყოველივე განცხადე-  
 ბულისა ღვთისაგან წინასწარმეტყველთა მიერ

\* იხ. „შინ. საქ.“ № 17.



არის უცილობელი დასამტკიცებელი საბუთი სახარების ამბების სინამდვილისა, ეს შემთხვევები წინასწარნაუწყები იყვნენ, იგინი უნდა მომხდარიყვნენ, და რადგან იგინი მოხდენ სრულიად თანახმად ძველი წინასწართქმულებებისა, ამიტომ მათი სინამდვილე, და მათსადამე სინამდვილე სახარების მოთხრობებისა მათ შესახებ, ყოველ ექვს გარეშეა.

ძველი აღთქმის წიგნები იმდენ წინასწარმეტყველებას შეიცავენ შესახებ მესსიას გამოცხადებისა, რომ ყველა მათი მოყვანა აქ მეტათ მიგვაჩნია ჩვენი მიზნისათვის, ამიტომ ვიკმარებთ მას, რაც ყველასაგან ცნობილია და აგრეთვე მოვიყვანთ დანიელის განცხადებას, რომელიც განმარტებას თხოულობს.

როცა იაკობ მამათ მთავარი კვდებოდა ეგვიპტეში, მოუწოდა ძეთა თვისთა და რქვა: შემოკრებით, რათა მოგიტხრა თქვენ, რა შემთხვევის უკანასკნელთა დღეთა. რაცა ჯერი იუდაზე მიღება, მან უთხრა მას: არა მოაკლდეს მთავარი იუდასაგან და წინამძღვარი წელთაგან (წყვილთაგან?) მისთა, ვიდრემდის მოვიდეს რომლისა იგი დაშარხულ არს და იგი არს მოლოდება წარმართთა (შექ. 49, 1 და 10).

ეს წინასწარმეტყველება ყოველთვის ისე ესმოდათ, რომ მესსია მოვა მაშინ, როცა მოისპობიან მეფეები ტომისაგან იუდასა. და რადგან იროდი მეფე იყო პირველი მეფე უცხო ტომისაგან (იგი ილუმელი იყო), ამიტომ მთელი ურისტანი მესსიას მოსვლას მოელოდა დღიდან იროდის გამეფებისა; და მართლაც მის მეფობის დროს იშვა იესო ქრისტე.

დანიელის გამოცხადებაში კი ნაჩვენებია მთელი ხანა, რომლის შემდეგ უნდა გამოცხადებულიყო ქრისტე.

ბევრი მსწავლულები ცდილობენ დაამტკიცონ ისტორიული ღირებულება დანიელის წიგნისა. იგინი ამბობენ, რომ ეს წიგნი დაწერილია შემდეგ მეფე ანტიოხ ეპიფანეს ებრაელთა წინააღმდეგ აღძრულ დევნისა, ვილაც უცნობ მწერალთაგან. მაგრამ მიუხედავად ამისა ეს წიგნი უნდა ჩაირიცხოს თვით დანიელის დაწერილათ. სამოც და ათმა მთარგმნელმა

(მსწავლულმა ებრაელმა) გადათარგმნეს იგი ბერძნულ ენაზე და დააყენეს იგი თანსწორ ისაიას, ერემიას და ეზეკიას წიგნებისა. ხოლო ეს გარემოება ამტკიცებს, რ. მ. ბიბლიის თარგმნის დროს, ე. ი. 270 წ. ქ. შ., დიდი ხნის წინეთ სანამ ანტიოქ ეპიფანე გამეფდებოდა დანიელის წიგნი შეტანილი იყო ებრაელთა საღმრთო წიგნების სიაში. ეს წიგნი საშლეთო წიგნათ ითვლებოდა იოსებ ფლაბიოსის დროსაც, რომელიც დანიელს დიდ წინასწარმეტყველს უწოდებს.

დანიელ წინასწარმეტყველის წიგნის მე-IX თავში ნათქვამია, რომ ერთხელ დანიელს ლოცვის დროს, რომელიც გამოიწვია ისაია წინასწარმეტყველის წიგნის კითხვამ შესახებ სამოც და ათი წლის ბაბილონის ტყვეობისა, უეცრად გამოეცხ და გაბრძელ მთავარ ანგელოსი და 22... რქვა: „დანიელ! ეხლა გამოვედი, რათა მოგიყვანო შენ ცნობად.

23. დასაწყისსა ლოცვისა შენისა განხდა სიტყვა და მოვედ რათა გაუწყო შენ, რამეთუ მამაკაცი სურვალისა ხარ შენ; დააკვირდი სიტყვას და გულისხმა ჰყავ ჩვენება.

24. სამოცდა ათი შვიდეულია დადებული ხალხისა შენისა და წმინდისა ქალაქისა შენისათვის, რომ დაფარულ იქმნენ დანაშაულობანი, აღბეჭდილ—ცოდვანი და აღგვილუსჯულოებანი და მოსრულ — სიმართლე საუკუნო, და დაბეჭდილ ჩვენება და წინასწარმეტყველი, და ცხებულ—წმიდა წმიდათა.

25. ამნაირათ იცოდე და გულისხმა ჰყავ: იმ დროიდგან, როცა გამოვა ბრძანება იერუსალიმის განახლებისა ქრისტე მეფეემდის შვიდ შვიდეულ და სამოცდა ორი შვიდეული; და მობრუნდება ხალხი და განახლებულ იქნებიან უბანნი და კედენნი, გარნა დროსა ძნელსა.

26. და შემდგომად 62 შვიდეულისა მიეცემა ქრისტე, და აღარ იქნება; ხოლო ქალაქი და საკურობხვეელი დანგრეულ იქმნება წინამძღოლის ხალხისაგან, რომელიც მოვა და დასასრული მისი იქმნება, ვითარც წყალდიდობითა, და ომის დასრულებამდის იქნება გატილდებანი.

27. და დაადგინებს აღთქმასა მრავალთათვის შვიდეული ერთი, ხოლო შუაგულ შვიდეულისა მოისპობა სხვერპლი და შესაწირავი და ფრთეთა ზედა ტაძრისათა დაადგრების საშინელება მოოხრებისა და დაბოლოებითი წინათგანჩინებული დალუპვა მოვიდეს გამანადგურებელსა ზედა\*).

შვიდეული ან შაბუა არის დღე შვიდი თანასწორი ნაწილისაგან შემდგარი, მიუხედავად ნაწილების სიდიდისა. რადგან შვიდეულ დღეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველ აღთქმაში, ამიტომ აქ შვიდეულის სახელით ერთი შეხედვით ბუნებითი იქნება ვიანგარიშით შვიდი დღე ანუ ერთი კვირე; მაგრამ ამ შემთხვევაში შაბუა არ შეგვიძლია შვიდ დღეთ ან ერთ კვირეთ მივლოთ, რადგან შემდეგ თავში, სადაც ლაპარაკია შვიდეულზე, როგორც კვირეზე, დანიელს ნახმარი აქვს სიტყვები: «შვიდეული დღეთა» და აქ უბრალოთ „შვიდეული“ (დღეთა ამათ შინა მე, დანიელი, ვიყავ მწუხარებასა შინა სამი შვიდეული დღეთა. X, 2), და ამას თითქოს განძრახ შეება, რომ ეს შვიდეულები განაჩიოს ზემო თავში ნათქვამ შვიდეულთაგან. არ შეიძლება ვიგულისხმოდ შვიდეული თვეებიც, რადგან 490 თვე, რომელიც თითქმის 41 წელიწადს უდრის, ძლიერ მკირე დროა იმ წინასწარმეტყველებათა აღრულებისათვის, რომლებზედაც მოთხრობილია უკანასკნელ მუხლებში: ქალაქის გაშენება, მისი და ტაძრის დანგრევა და სხ. ამნაირათ დაგვრჩენია აქ ნახსენები შვიდეული შვიდი წლის ხანათ მივილოთ. ძველი ქრისტიანნიც და ებრაელი მწიგნობარნიც დანიელის შვიდეულებს ყოველთვინ შვიდ-შვიდ წლად ანგარიშობდნენ.

შვიდ-შვიდეულთა დასაწყისი განსაზღვრულია დანიელის განცხადების მე 25 მუხლში: „იერუსალიმის განახლების ბრძანებით“.

სამღვთო წერილიდან სჩანს, რომ დანიელმა განცხადება შვიდი შვიდეულის შესახებ მ-

შინ მიიღო, როცა ებრაელები ბაბილონის ტყვეობაში იყვნენ, და რომ, შემდეგ ბაბილონის სამეფოს დაქცევისა სპარსეთთან შეერთებისა, რამოდენიმე საკეთილო ბრძანება იქმნა გამოცემული ებრაელების შესახებ. პირველი ამ ბრძანებათაგანი ტაძრის აშენების ნებას იძლევა და არაფერს ამბობს შესახებ დაქცეულ იერუსალიმის განახლებისა (16. ნეშთ. თ. 36 მუხ. 23; 16 ესდ. თ. 1, 2—4 და თ. 6, 3—5). მეორე ბრძანება, რომელიც მეფე დარიოს გისტასს ეკუთვნის, გაკვირთავს კი აფაფერს ამბობს ქალაქის გაშენებაზე, არამედ იმეორებს მეფე კვიროსის ბრძანებას შესახებ ტაძრის აშენებისა (1 წ. ეზდრ. თ. 6, 6—7). მესამე ბრძანება მიეცა ეზდრას, რომელიც წინამძღვრობდა ებრაელებს, მეფე არტაქსერქს მხარგრძელის მეფობის მეშვიდე წელიწადს თუმცა არც ამ ბრძანებაში პირდაპირ არაფერია ნახსენები ან ნებადართული შესახებ იერუსალიმის ქალაქის გაშენებისა, მაგრამ იგი ნებას აძლევს ეზდრას გააკეთოს ყველაფერი, რასაც კი გასწვდება მისი ფული; და რაც შენ და შენთა ძმათა გენებოსთ ქმნად დანარჩენი ოქროთი და ვერცხლით, ჰქმენით ნებითა ღვთისა თქვენისათა—(1 წ. ეზდრ. თ. 7, მუხ. 18); ეს ნებართვა ფართო მიიშენელობით შეეძლო მიეღო ეზდრას და შეეძლო კიდევ გამოეყენებია ქალაქის ასაშენებლათაც, რაშიდიც დიდ საქიროებასაც გრძობდნენ ვადმოსახლებული ებრაელები, მტრულათ განწყობილი მეზობლებისაგან დასაცავათ; და რომ სწორეთ ასე ესმოდა მას ეს ბრძანება, სჩანს მისი შემდეგი ლოცვიდან (1 წ. ეზდ. თ. 9, მუხ. 9); და რომ ის ამ ბრძანების ძალით მართლაც შეუდგა იერუსალიმის განახლებას, ამას მოწმობს ნემია (წ. ნემ. თ. 1, მუხ. 3). სხვა ნებართვა, განკარგულება, ან ბრძანება შესახებ იერუსალიმის განახლებისა არ ყოფილა.

ამ საფუძველთა მიხედვით შვიდეულების დასაწყისათ შეიძლება მივილოთ არტარქსერს მხარგრძელის მეფობის მეშვიდე წელიწადი, როგორც წელიწადი, როდესაც გამოვიდა ნებართვა შესახებ იერუსალიმის აშენებისა.

\* ეს თარგმანი არ არის ქართული ბიბლიიდან ამოწერილი, არამედ ჩვენ ვთარგმნეთ თავისუფლად რუსულიდან.

რომელ წელში ავიდა ტახტზე არტარქ-სერს მხარგრძელი?

ამ საკითხზე ზედმიწევნით სწორ პასუხს იძლევა მეფეთა ან სამეფოთა კანონი პტოლ-მეოსისა. ამის მიხედვით არტარქსერქსის ტახტზე ასვლის წლათ უნდა აღვიაროთ 289 წელი შემდეგ რომის ქალაქის აშენებისა. მაშასადამე მისი მეფობის მეშვიდე წელიწადი, ან იერუსალიმის განახლების დასაწყისი, უნდა ყოფილიყო 296 წელს რომის ქალაქის აშენების შემდეგ.

პირველი სამოცდა ცხრა შვიდეულის დასასრული ცხადათ არის ნაჩვენები დანიელის წინასწარმეტყველებაში: ქრისტე მეუფემდის, ე. ი. ქრისტეს განცხადებამდის უნდა გავიდეს სამოცდა ცხრა შვიდეული ანუ 483 წელიწადი დაწყებულ 296 წლიდან შემდეგ რომის ქალაქის დაარსებისა. 296 დ- 483 რომ შევაერთოთ, გამოვა, რომ სამოცდა ცხრა შვიდეულის ბოლო და, მაშასადამე, იესო ქრისტეს გამოცხადება უნდა მომხდარიყო 779 წელს რომის ქალაქის დაარსებიდან.

მხარგრძელი ლუკა გვარწმუნებს, რომ იოანეს საქადაგებლათ გამოსვლა და იესო ქრისტეს ნათლისღება მოხდა კეისარ ტიბერიუსის მეფობის მეთუთხმეტე წელიწადს (თ. 3, მუხ. 1), ე. ი. 779 წელს რომის ქალაქის დაარსებიდან.

ამნაირათ იესო ქრისტეს გამოცხადება იორდანეზე მოხდა სწორეთ იმ წელიწადს, რომელიც ანგელოსმა აუწყა დანიელს.

### კვირნიდამ-კვირნიმდე.

ნიუიორკში თურმე დიდძალი ებრაელები დაიარებიან მართლმადიდებელ ეკლესიაში წირვა ლოცვის დროს, განსაკუთრებით ბევრი ესწრება აღდგომის ცისკარს. მაროკოს ელჩის ბოტკინს გამოუკითხავს ამის მიზეზი ერთი ებრაელი ქალისათვის, რომელსაც უთქვამს: აქ მიტომ დაეიარებით, რომ აქაური მღვდელმოქმედება სამშობლოს გვეგონებასო.

იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლის მეთვალყურე თ. დ. ჟორდანიას სამსახურს თავს ანებებს, რასაც ახლო კავშირი უნდა ჰქონდეს ბ. იმპერიის მეთვალყურის უკანასკნელ რევიზიასთან. საბჭოს თავმჯდომარე მ. დეკ. ერ. კანდელაკმაც ძალაუფლებათ თავი უნდა დაანებოს საბჭოში სამსახურს, რადგან, როგორც გავიგეთ, ბაქოში გადაუყვანიათ სამსახურში. ამნაირათ სამოსწავლო საბჭო ჯერჯერობით ჰკარგავს ორ თავის მოღვაწეს.

მეთვალყურის ადგილზე ქუთაისის სას. სასწ. ზედამხედველს ბ. ხოლმსკის ასახელებენ. საბჭოს თავმჯდომარეობას ვინ იტვირთებს, ჯერჯერობით არ ვიცით.

კიევის ოლქის მზრუნველი ბ. ზილოვი 1910 წლის ანგარიშში ამტკიცებს, რომ შკოლას გარეთ მოწაფეებზე თვალყურის დაქერამ კეთილი შედეგი იქონია და გადასაყვანმა ეკუთმენებმაც გამოაფხიზლა ახალგაზდობაო. ამასთან ერთად პატივცემული მზრუნველი სამწუხარო მოვლენებსაც აღნიშნავს მოსწავლეების ცხოვრებაში. ასე მაგ. ზოლოტონოშოში გიმნაზიის მოწაფეებს შედგინათ თვითგანვითარების წრე, რის გულისთვისაც სამი გამოირიცხა და სამს ნიშნები ჩამოაკლდა ყოფაქცევაში. კამენეცპოდოლსკში, რომელიც მთლად დასახლებულია ებრაელებით განუკურნებელ სენათუნდა ჩაითვალოს ის, რომ გიმნაზია საესეა ებრაელ ყმაწვილებით. შემდეგ აღნიშნულია ბ. გალაგანის კოლეჯის მოსწავლეთა ცუდი ყოფაქცევა, და რომ ეს კოლეჯია დიდი ნდობით სარგებლობს საზოგადოებაში, ხოლო მართებლობისაგან დამოუკიდებელია, რისთვისაც თხოულობს ეს კოლეჯია მას დაუმორჩილონ.

უწ. სინოდთან არსებულმა სამოსწავლო კომიტეტმა ცირკულიარებით აცნობა ეპისკოპოსებს, რომ კვლავ სას. სასწ. ზედამხედველის ადგილზე წარადგენდენ ხოლმე სამღვდელო პირს და არა საეროს, როგორც ეს აქნამდის იყო.

სარატოვში დასრულდა გამოძიება სემინარიის ინსპექტორ ცელმბროვსკის მკვლელობის შესახებ. დაითხოვეს ასი მოსწავლე, 17 მისცეს პოლიციის მხედველობის ქვეშ, სამი გადაასახლეს გუბერნიიდან. დათხოვნილები აღარსად მიიღებინა.

კიევის ეპისკოპოსს დიმიტრის მიუზარტონია მხარის უფროსისთვის და უთხოვნია, ნება მისცეს მღვდლებს, დაესწონ სხსოფლო ყრილობებზე შკოლის შესახებ, რათა შეძლება მიეცეს განუმარტონ ხალხს საეკლესიო სკოლის უპირატესობა საეროებო სკოლის წინაშე.

ელისავეტოლის მადრასეს აღეკაძა სამშობლო ენაზე საგნების სწავლება, გარდა საღვთო სჯულისა, მადრასემ 7 წელიწადი იარსება და ეხლა იძულებული შეიქნა დიხუროს.

კიშინევის ეპარქიალურ სასწავლებლიდან მასწავლებლები გარბიან. ბ. ზავატოსა და ქ. ნ. დუმბროვას შემდეგ განთავისუფლების თხოვნა შეიტანეს: იაგორსკიმ, ნეგრუცმა, გირლიამ, კილიანოვამ და ხინკულოვამ; საბჭო სთხოვს ყველას დაბრუნდენ. მაგრამ თხოვნა არ გადის.

როგორც ქალაქის საბჭოში შეტანილ განცხადებიდან სჩანს, სოხუმის ბიბლიოთეკის მკითხველთა რიცხვს ძლიერ უმატნია, ხოლო წიგნების რაოდენობა 1906 წლიდან იგივე დარჩენილა.

ოკრაბის საბლადოჩინო ოლქის ბლადოჩინათ ნაცვლად დეკ. სირბილაძის არჩეულ იქმნა რიონის ფერისცვალების მღვდელი სემინარიაში კურს დამთავრებული სამსონ აფხაძე. ეს არჩევნები შის შეუფერხებს უკვე დაუმტკიცებია და კონტორაში გაუგზავნია.

როგორც „*Ут. Р.*“ ვადმოგვეცემს სოხურ მის ეპისკოპოსს დიმიტრის გადაყვანას უპირო-

ბენ რიაზანში, ხოლო მის ადგილზე გადმოიყვანენ კაზანის ეპარქიის მეორე ქორ ეპისკოპოსს ანდრიას (ქ.).

**სიცხეები წინით და მხლა.** რადგან წელს დასავლეთ ევროპაში სიცხეებს უჩივიან, ამიტომ გაზეთებს მოჰყავთ ცნობები, თუ რამდენათ უფრო მწვავე სიცხეები ყოფილა უწინ. 627 წელს წყაროები დ მშრალა ხალხი წყურულით იხოცებოდა.

879 წელს ევროპამ დიდი შიმშილობა გადიტანა გვალვისა და სიცხის გამო, რამაც მთელი ნათესობა ამოსწვა.

993 წელს ევროპაში ისეთი სიცხე დაიქირა, რომ თითქმის მთელი მცენარეულობა გახმა და როგორც თოფის წამალი, ისე ენთებოდა.

1000 წელს ბევრი მდინარე დაშრა.

1139 წელს სიცხისა და გვალვისაგან იტალიაში თითქმის მთელი მცენარეულობა გახმა.

1260 წ. ბელასთან ომის დროს სიცხის გამო უფრო მეტი ჯარისკაცი დაიხოცა, ვიდრე იარალით.

1303 წ. მდინარეები რეინი და სენა სულერთიანად დაშრენ.

1705 წ. ისეთი სიცხე იდგა, როგორიც დგას ხოლმე საზოგადოთ შუშის ზავოდებში. მზეზე ხორცს სწვავდენ.

1793 წელს სიცხისა და გვალვისაგან მოისპო ბოსტნეული; ხეები სკდებოდენ.

1811 წელს ბევრი დიდი მდინარე დაშრა.

1832 წელს მარტო პარიეში შის დაკვრით დაიხოცა 20,000 კაცი.

1846 წელს აგვისტოს განმავლობაში სიცხე 46° იდგა.

ამნაირათ დღევანდელი სიცხე, რომელიც 35°—36° არ ასცილებია კიდევ დიდ მოწყალებათ უნდა ჩაითვალოს, ვიდრე ყოფილი ისტორიაში აღნიშნული სიცხეები.

აგერ ერთ თვეზე მეტია, რაც ქალაქ ქუთაისში გამოდის კვირეული გაზეთი „*კოპერაცია*“, როგორც სახელწოდება უჩვენებს,

გაზეთის მიზანია გააცნოს საზოგადოებას კოოპერატიულ დაწესებულებათა ყოფა-ცხოვრება და აღძრას ჩვენშიაც მათი დაარსების სურვილი. მიზანი ფრიად მშვენიერია, დროისა და ადგილის შესაფერია, სასურველიც არის, რომ გაზეთს თანაგრძნობითა და სიყვარულით მოეპყრან ყველანი, განსაკუთრებით ვისთვისაც ძვირფასია სამშობლო მხარის ეკონომიურად წინაწევა. ასეთი გაზეთები მუქთან უნდა რიგდებოდეს ხალხში, რადგან იგი გაუცნობელია კოოპერატიულ ცხოვრებას და მათსადაც მე გაზეთის გამოწერასაც არ მიეტანება ისე რიგათ, რომ რედქციამ თავი შეინახოს. კარგი იქნება სამღვდლოებაც მიაქცევდეს ყურადღებას ამ გაზეთს და ხელს შეუწყობდეს სოფლებში წვრილ სკრედიტო, მომხმარებელ და მწარმოებელ საზოგადოებათა დაარსებას.

**ე-დ. სამღვდლო ლეონიდე რევიზიაში.**

ყ-დ. სამღვდლო ლეონიდე ამ ჟამად მეგრელიაში დაბრძანდება სარევიზიოთ. მისი მეუფება თურმე ჩვეულებისამებრ საუბრებს მართავს ხალხთან შესახებ სარწმუნოებისა, ღვთის მსახურებისა და კეთილმორწმუნეობისა. საუბრებს ხალხი ბლომათ ესწრება.

სხვათა შორის სენაკის ახლო-მახლო სამრევლოებს თხოვნით მიუმართავთ მისი მეუფებისათვის, დახმარება აღმოუჩინოს, რომ კვირაუქმ დღეებში მუშაობა და ბაზარში ხარ-ურმით სიარული აკრძალულ იქმნეს. „ხალხს დაავიწყდა ღმერთი და ეკლესია; მთელი წელიწადი ისე გაივლის ორი კაცი ერთად ეკლესიაში არ შევა წირვის მოსახმენათო. ამის მიზეზი ბაზრის სიხლოვეა, სადაც ხალხი, განსაკუთრებით ახლოგაზდობა, ლოთობას ეწევა და ისედაც ხელმოკლე ოჯახს უფრო აღარბებსო. ხშირათ რასაც გაჰყიდიან, იქვე შეშქამენ და ხან შინ დავალიანებულიც ბრუნდებიანო“. ყ-დ. სამღვდლოს წინადადება მიუცია ხალხისთვის, განაჩენები დაადგინონ და ასეთი პირები დააჯარიმონ ეკლესიის ან სკოლის სასარგებლოთ, აგრეთვე მღვდლებისთვის უბრძანებია სიტყვით იბრძოლონ ამ მოვლენის წინააღმდეგ. მეგრე-

ლიდან ჩამოსულმა მღვდელმა გვიამბო, რომ ასეთ განკარგულების შემდეგ მლოცველების რიცხვმა ეხლავე იმატა ეკლესიაშიო.

**მ. იაროთაოზ ნიკოლაძეს.**

რადგან რედაქციას სრულ სიმართლეთ მიზნია ყველა ის ბრალდებანი თქვენს შესახებ, რომელსაც სწერს ბ. „Eanius“-ი თავის წერილებში და რადგან მას არ სურს თავის თანამშრომლის ვინაობა გამოამჟღავნოს, ამიტომ თვით მე, რედაქტორი, ვიხსენებთ სამედიატორო სამართალში შემდეგი პირობებით: 1, თითუღმა ჩვენგანმა უნდა აირჩიოს ორი ორი მედიატორე, რომელთაგან ერთი უთუოდ მღვდელი უნდა იყოს; 2) მედიატორებმა უნდა თითონ აირჩიონ თავის თავმჯდომარე; 3) საქმე უნდა გამოირკვეს მოწმეების დაკითხვით, რომლებსაც ორივე მხარე წარმოვადგენთ, რომლებიც დაკითხული იქნებიან ფიც ქვეშ, თუ უფიცრათ გარემოების მიხედვით და ჩვენი შეთანხმებით. 4, განსახილველი საგნები იქნებიან ა) ეწეოდით თუ არა თქვენ აგიტაციას დიდი ხნის წინეთ, სანამ მ. დოლაბერიძის ადგილი დაიკლებოდა; ბ) ექონდათ თუ არა ადრევე შედგენილი განაჩენი; გ) ხმარობდით თუ არა ხალხის მისამხრობათ ისეთ საშუალებას, რომელიც ნება დართული არ არის კანონით, წინააღმდეგია სინიდისის და არცხვენს და ამკირებს მღვდლოზის ხარისხს. 5) მედიატორების განაჩენი გამოქვეყნებულ უნდა იქმნას გაზ. „შინაურ საქმეებში“ და დაუკონებლივ შესრულებულ მხარეებიდან.

თუ ამ პირობებზე თანახმა ბრძანდებით დღეიდგან (7 აგვისტოდან) ორი კვირის განმავლობაში დაგვისახელეთ თქვენი მედიატორები გაზ. „შინაური საქ.“ საშუალებით და ჩვენც იმავე ნომერში დაგვისახელებთ ჩვენსას, რომლის შემდეგ თვით მედიატორები დანიშნავენ მსჯელობის დღეს.

რედაქტორა მდ. ს. მჭედლაძე.

**პასუხათ ბ-ნ ქაჯეთელს.**

ბატონო რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ ჟურნალ „შინაური საქმეები“-ს მე-12 ნომერში მოთავსებულია ბ-ნ. ქაჯეთელის წერილი ჩემს წინააღმდეგ,

ამიტომ გთხოვ ეს პასუხი დასტამბოთ დასახელებული ჟურნალის ერთ-ერთ მახლობელს ნომერში.

ბ-ნო ქაჯეთელო! თქვენ ბრძანებთ, რომ ბევრჯერ დასწრებიხართ ჩემ მიერ კარბელაანთ კილოს გალობის წინააღმდეგ საჯარო ხმამაღლა ბაასს, სადაც მე ვამტკიცებდი, რომ კარბელაანთ კილო საერო სიმღერებიდან წარმოსდგება, თითქოს ვამბობდე—კარბელაშვილმა არაერთგვაროვანი გალობა არ იცოდა და მთავრობამ ის გააძევა თბილისის სასულიერო სემინარიიდან და ამაზე ვიმოწმებდე გრიგოლ კარბელაშვილის შვილს პოლეს.

თქვენ თუ გალობის საქმე გაინტერესებდათ, ბ-ნო ქაჯეთელო, როცა მე მაგ საგანზე ვბაასობდი მაშინ უნდა მოგეცა პასუხი და იქვე დაგიმტკიცებდი ჩემი ნაამბობის სინამდვილეს. მაგრამ, გეტყობათ ეს ვერ გაგიბედნიათ და ვერც ის გაგიბედნიათ, რომ თქვენი ნამდვილი გვარი გამოგეცხადებიათ, ამოფარებიხართ ფსევდონიმს და გაზეთის საშუალებით მთხოვთ პასუხს. ამაზედაც არ დაგზარდები.— აი ჩემი პასუხიც.

მე, როგორც თითონ მგალობელი და ლოტბარი არასოდეს უწმინწურად და სამასხარაოდ არ ავიდებ გალობის საქმეს; ხოლო თუ ოდესმე რაიმე ვსთქვა, მხოლოდ ის, რასაც მ. პ. კარბელაშვილი ამტკიცებს თავის წიგნში.

მე და სხვა მკოდნე პირები მუდამ ვამტკიცებდით და ვამტკიცებთ კიდევ, რომ ქართული გალობის ნამდვილი კილო დაცულია და შენახული ამ ეამად მხოლოდ გურიაში. ამ საგანზე დიდი სჯობაა იყო 1878 და 1879 წ. წ. ქალაქ თბილისში. კავკასიის წარჩინებულ ქართველთა და რუსთა თაოსნობით შესდგა თბილისში კომიტეტი, რომელშიაც მხურვალე მონაწილეობას იღებდენ სხვათა შორის აწ განსვენებულნი ალექსანდრე ეპისკოპოსი, არქიმანდრიტი მაკარი, თავ. გრიგოლ ორბელიანი და სხვ. იყვნენ მოწვეულნი სხვა და სხვა მხრი-

დან მგალობლები და აგრეთვე მთელი ეგზარხატის სამღვდელოების დეპუტატები.

კომიტეტმა შრავალჯერ გამოცდის შემდეგ ქართული გალობის მკოდნეთ სცნო გურულები და დაარჩინეს ქ. თბილისში გურულებისაგან შემდგარი მგალობელთა გუნდი ჩემის ლოტბარობით. ქართლ-კახეთის დიპლომატიის მისწავლებლადაც მე დამნიშნეს და სემინარიისთვისაც მე მომკეს გალობის მისწავლებლობის ალაგი კარბელაშვილის ნაცვლად, ამაზედ შემოწმება თითონ მამა პოლემ კარბელაშვილი თავის წიგნში\*), გვერდი 92—საცა ამბობს: „სემინარიის სამმართველომ, 1878 წ. 3 იულისიდან, № 243 მოწერილობით... არჩია—გურიის ეპისკოპოსს გაბრიელს მივსწეროთ, საუკეთესო მგალობლები დაგვისახელოსო, მოვიწვიოთ იგინი თბილისში და ხელი მივკუთ ქართული გალობის ნოტებზე წერასო. ასეც მოახდინეს: მოიწვიეს გურაიდან მგალობელი მღვდელი მაქსიმე ჩხატარაიშვილი და სამი სხვა გალობის მკოდნენი: მელქისედეკ ნაკაშინი, ივანე ხაფთასი და ნესტორ კონტრიძე. 14 სექტემბერს 1878 წ. სიონის ტაძარში ორბიად იგალობეს—მარცხნივ ვგალობდით ძმები კარბელაშვილები, მარჯვნივ გურულები მგალობლები... კომიტეტმა საქირთოთ სცნო დაბარება მოხუცის მღ. გ. კარბელივისა; ჩამოვიდა კიდევ 24 სექტემბერს. იმავე საღამოს ანჩისხატის ეზოში, არქიმანდრიტის მაკარის სადგომში, კომიტეტმა კრება მოახდინა. დაესწრა ყ-დ. უსამღვდელოესი ეპისკოპოზი ალექსანდრე, მღ. გ. კარბელაშვილი შვილებით, გურულები მგალობლები და სხ. რადგანაც მგალობლებათ აირჩიეს—ნაკაშიძე, ხაფთასი და კონტრიძე, ჩვენ ძმები კარბელაშვილები ჩამოვეცალეთ გალობის საქმეს... კომიტეტმა დაუნიშნა მგალობლებს თვეში—ნაკაშიძეს 20 მ. და დანარჩენებს თითო თუმანი და სახლი.

\*) ის. ისტ. მიმოხილვა „ქართული საერო და სასულიერო კილოები“ მღ. პ. კარბელაშვილისა, გამოცემული 1898 წ.

დაიწყეს გალობის სწავლება და ნოტებზე წერა. კომიტეტმა დაადგინა ყურნალი მ. აპრილს 1879 წ. (და ეგზარხოსმაც დაამტკიცა), რომლითაც მგალობლებს თვეში ხუთ-ხუთი მანეთი მიუმატეს“-ო და სხვ.

რაც შეეხება იმას, რომ კარბელაანთ კილოს საგალობლები საერო სიმღერების კილოებიდან შესდგება, ამას ამტკიცებს არამელქისედექ ნაკაშიძე, არამედ იგივე პოლემ კარბელაშვილი თავისსავე წიგნში მე-29 გვერდზე, სადა სწერს: „საეკლესიო გალობის დედნათ შექმნილან საერო სიმღერები, მაგ. ამგვარ საერო სიმღერებად ჩვენ ვრაცხთ დღეს—„ყურშაოს“, „ღმერთო, ღმერთო მოწყალეო“, „შაშვი კაკაბი“, „ბედზედ დაგნატრი ბარათო“, „ვაი შენ ჩემო თერთო ბატო“, „დიდება“ და სხვა მრავალი“.

იმავე გვერდზე სწერია ქვემოთ:

„ვინცა კაცია, არნანო, ჩოხა ჯაჭვა, თარნანო და სხვა—ეს კილო წარმოაგნს ქვემარიტს დედანს საეკლესიო საგალობლისას წირვაზედ: „შენ გიგალობთ“, (ხოლო) სიმღერა: „ბედზედ დაგნატრი ბარათო“—არის დედანი საგალობლისა „მამასა და ძესა“-ო და სხვ...“

ბ.ნო ქაჯეთელო, ექვს გარეშეა, თქვენ დიდათ მოეწონთ და თავყვანს სცემთ იმ საერო სიმღერების კილოებზე შემდგარს გალობას, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილია მამა პ. კარბელაშვილის მიერ, მაგრამ ნება მიბოძეთ, თქვენი ყურადღება მიექცეოდ შემდეგს გარემოებაზე, თუ რას სწერს ამაზე ყველასაგან პატივცემული, აწ განსვენებული მწერალი თავ. ალექსანდრე ჯამბაკურიან ორბელიანი თავის წიგნში\*) (გვ. 211): „როსტომ მეფეს სპარსეთის ჩვეულება შემოუტანია საქართველოში და ის ჩვეულება ასევე გრგინა მთელს საქართველოს ერთსა, რომ საერთოდ იძახდნენ თურმე: ყიზილბაშებმა წაგვბილწეს და გაგვრყვნესო, ამას ვახუშტიცა სწერს“-ო და სხ.

შემდეგ ქვემოთ სწერია, გვ. 226:

„ქართველებო! თიღვეით ყიზილბაშურ

\*) იხ. თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან ორბელიანის ნაწერები, გამოცემული ზ. კიკინაძის მიერ 1879 წ.

ყიყინზე ხელი, რა შეედრება ჩვენს მამა-პაპის სიმღერის ხმებსა, რომელიცა ჩვენი ამდენი ათასობით წლების ხმოვანება, მხოლოდ ჩვენი კუთვნილი საკუთარი გალობანი, სიმღერანი და ლილინები დაგვიმტკიცებს, რომ ჩვენი საქართველოს და იმერეთის ერნი არიან ძველი ივერიელების შვილის შვილები, ვითარცა პიტალოს ოქროდან, პიტალო ოქრო გამომდნარი...“

როდესაც ამ ზემოხსენებულს სიტყვებს ამბობს დასახელებული მწერალი, ბ.ნო ქაჯეთელო, თქვენ მიერ მოწონებულს გალობასა და სიმღერაზე, ამავე დროს, იგივე მწერალი იმავე წიგნის მე-214 გვერდზე სწერს შემდეგს:

„ჩვენს ეკლესიურს გალობასა: თქმასა მოძახილსა, ბანსა, კრინსა და ღვრინსა, სად არ იგალობებდენ ერთიანსა შეწყობილსა გალობასა ამას, სხვის და სხვის ხმებით? ყველგან თავადი, აზნაური და ბევრი გლეხი გალობდა. ეხლა ვეროპიელებს არ მოეწონებათ, მაგრამ მე კი მინახავს, რომ ჩვენს გალობაზედ, სულის საამო ცრემლები უბრკვევითა მშვენიერის თვლებიდან სპეკალს ღოგებზედ. საკუთრება არის, მეტი კარგი გულისათვის“.

შემდეგ იმავე წიგნში, იმავე გვერდზე მოსთქვამს და გოდებს იმისათვის, თუ „რად დავივიწყეთ ის ჩვენი მამა-პაპების კარგი გალობა, სადაც გნებავდათ ის ხელათ სათქმელი? სად არ გაგვატარებინებდა დროსა და სად განგებისა დეთისასა, არ მოგვიგონებდა, ის იმისი მიმოხვრილი გალობა?“

ქვემოთ ამბობს:

„გამიგონია, გურიელები კიდევ თურმე გალობდენ მამა-პაპის გალობასა“-ო და ვედრებით ეუბნება გურულებს: „ღეთის გულისათვის, გურულებო! ჩვენი სამშობლოს და ენის სადღეგრძელოთ, თქვენ მაინც ნუ დაივიწყებთ თქვენი მამა-პაპის ეკლესიების გალობასა: იმ ღეთის სასიამოვნოს, წყნარსა და მშვიდობიანსა გალობსა, რომელიცა ის ხმა მოგვაგონებს- ჩვენს კეთილს ქრისტიანობრივსა ნამდვილსა“.

იქედან მგონი ნათლად სჩანს, რომ ნამდვილი ძველი მამა-პაპური ქართველების გალობა



ბა ჩვენში, გურიაში არის დაცული და შენახული. ვინც საქართველოს საეკლესიო ისტორია იცის, იმათ კარგად მოეხსენებათ, რომ ძველად, სულ ხშირად გურულე იდან ვრცელდებოდა ქართლ-კახეთში საეკლესიო გალობები, სანამ როსტომ მეფემ ყიზილბაშურს ყიყინზე არ გადააჩვია ხალხი.—კიდევ არ გჯერათ, ბ-ნო ქაჯეთელი?

აწ ყური დაუგდოთ, რას სწერს თავის მოგზაურობის დროს დეკანოზი ყონჩოშვილი, აწ განსვენებული ეპისკოპოსი პეტრე (იხილეთ „მოგზაურობა წმ. ქ. იერუსალიმს და წმ. ათონის მთაზე, გვ. 181) „ათონის ქართველთა სავანეში ყოფილა კეთილ განწყობილი მწყობრი ტბილად მგალობელთა 1880 წლებში ვიდრემდის ყოფილან ათონზედ მგალობელთა შორის: თავ. მელქისედექ ნაკაშიძე, მ. გიორგი მოლარძე, ღირსეულად მოღვაწე შემოქმედის მონასტერში, გურიაში, მ. მ. კონტრძე, ჯინქარაძე და მ. ფ. შარაშიძე, ქართველთა მგალობელთა გუნდსა აღტაცებაში მოჰყვანდა ყოველნი მსმენელნი რუსნი და ბერძენიცა. ამ ზემოხსენებულ პირთა შეუსწავლიათ ქართული გალობა საფუძვლიანათ რვა ხმაზედ ბ. ანტონ ღუმბაძის ხელმძღვანელობის ქვეშ. ხოლო აწ ქართველები ვეღარ იქების ამ გვარის კეთილ განწყობილის გალობითა. ამისათვის ფრიად სასურველია, კვლადცა განძლიერდეს ქართული გალობა ათონზედ აღსადგენელად ჩვენის ძველი ეროვნულის ღირსებისა, დიდებისა და პატივისა სხვათა ეროვნებათა წარმომადგენელთა მოღვაწეთა შორის ათონის მთაზედ. ოდესმე დროშა პირველობისა ეპყრათ ივერიის კარისა ღვთისმშობლის მონასტრისა ქართველთა ძმათა“.

შეგდგვი იქნება).

### ლევ ტოლსტოის წერილი.

გაზ. „Рус. С.“-ში დაბეჭდილია ლ. ტოლსტოის გაგზანილი წერილი ცნობილ ეპ. გერმოგენისადმი. აი თვით წერილიც: „საყვარელო ძმაო გერმოგენ! გაზეთებში წავიკითხე შენი მოხსენება და

აზრი ჩემს შესახებ; წავიკითხე და ძლიერ დავლონდი და შევწუხდი არა ჩემს თავზედ, არამედ შენზედ და შენ ერთმორწმუნეებზედ, რომლებიც შენ თავიანთ ხელმძღვანელად გთვლიან. ვთქვით მე შემცდარი ვარ და, როგორც შენ ამბობ, ჩემი ცდომილებით ბევრი ქრისტიანი გზას ავაცდინე და დაღუპვის გზაზე დავაყენე. შეცდომილი, მე—მაგნე კაცი ვარ, მაგრამ იმავე დროს მე ხომ კაცი და ამასთანავე შენი ძმა ვარ! თუ კი შენ გებრალებანი, რომლებიც მე ჩემი ცრუ მოძღვრებით დავღუპე, მაშინ როგორ არ უნდა შეიბრალოს პირი, რომელიც, შეიქნა რა სხვების დაღუპვის მიზეზი, თვითონაც უეჭველად დაიღუპება! მე ხომ ის კაცი და შენი ძმა ვარ, ცხადია, რომ შენ, როგორც ქრისტიანების მქონე ქრისტიანე, ვალდებული ხარ მომმართო მე სიყვარულით აღსავსე ღირიგებით, რჩევით და საყვედურითაც კი, მაგრამ ერთადერთი გრძნობა, რომელიც შენ, როგორც ქრისტიანს, უნდა გქონდეს ჩემდა მომართ, არის გრძნობა შებრალებისა და არა ის გრძნობა, რომელიც გხელმძღვანელობდა შენ ჩემს მხილების დროს. არაფერს ვიტყვი იმაზედ, თუ რომელი ჩვენთაგანი უფრო მართალია ქრისტეს მოძღვრების სხვა და სხვა ნაირად გაგება-განმარტებაში. ეს მხოლოდ ერთმა ღმერთმა იცოდეს. მაგრამ ერთი კი უეჭველია, რაზედაც შენც კი, საყვარელო ძმაო, არ შეგიძლია არ დამეთანხმო, ეს ის, რომ ძირითადი საფუძველი ქრისტეს მოძღვრებისა არის სიყვარული.


და აი, მივღვე რა ქრისტეს მოძღვრების ამ ძირითად კანონს, მოგმართავ შენ, როგორც ძმა—ძმას, როგორც უფროსი ძმა—უმცროსს, სიყვარულით აღსავსე საყვედურის და დარიგების სიტყვებით: ცუდათ მოიქეცი შენ, საყვარელო ძმაო, როდესაც შეგიპყრო ბოროტმა გრძნობამ გულმოსულობისამ და შურისძიებისამ.

არც ერთი კაცისთვის—ქრისტიანეთისთვის ეს კარგი არ არის და მით უმეტეს კი ქრისტიანობის აღმსარებელ აღმსარებლის ხელმძღვა-

ნელისთვის. გწერ ამას იმისვის, რომ გთხოვო ჩაიჭრო გულში არა კეთილი და ბოროტი გრძნობა ჩემზედ და მისცე შენ გულში აღგილი აღამიანების ურთიერთსადმი სიყვარული ის გრძნობას,—მით უმეტეს, რომ მე შენს მიმართ, როგორც კთომილი ძმის მიმართ, სხვს არაფერს ვგრძნობ გარდა სიყვარულისა და შებრალებისა. თუ ამ სიტყვებით მე შენ უნებლიეთ რამე გაწყენიე, მაპატიე. კეთილის მეტი მე შენთვის არაფერი მინდა. მადლობელი ვიქნები თუ მიპასუხებ.

შენი მოსიყვარულე ძმა ლევ ტოფსტოა.  
13 ევნ. იანაია პოლიანა.

მღვდ. სევ. კეკელიძე.



### უცხოეთის მიმოხილვა.

ამ ორი წლის წინათ ძველი აზიის ერთი უნიქიერესი სპარსთა ერიც, „ირანის ლომთა\*)“ მამულიც ელირსა პოლიტიკური ცხოვრების ისეთს პირობებს, ურომლისოდაც არ არსებობს დღეს კეთილდღეობა და წარმატება ხალხისა არსად ქვეყანაზე. სპარსეთმა ნიქიერად დატრიალებულ რევოლიუციით ტახტიდან ჩამოაგდო რვაჯერ კონსტიტუციის ერთულეობაზე შეფიცებული დესპოტი მაჰამედ-ალი და დაარსა სრული და ქეშმარიტი პარლამენტი, ანუ მეჯლისი.

თვითონ ტახტიდან ჩამოგდებული მაჰამედ-ალი რუსეთში გადასახლდა საცხოვრებლად, რომლისაც ნახევარი მილიონი პენსია დაუნაშნა მეჯლისმა. ქუაში მყოფი ადამიანი უნდა შერიგებოდა ასეთს მდგომარეობას და რკოვრა სიამით და მოსვენებით. მაგრამ მაჰამედ-ალი მეტად მოუსვენარი ტემპერამენტის ადამიანი და „მაცხოვარმა-აატრუა“, ჩვენში რომ იტყვიან, სწორედ ისე მოუვიდა.

მაჰამედ-ალი ეკუთვნის კაჯართა დინასტიას, რომელიც დაარსა სპარსეთში თფილისის გამანადგურებელმა ალა-მაჰმად-ხანმა შეთვრამეტე საუკუნის გასულს.

მზნე და ენერგიული მაჰამედ-ალი ტახტზე

\*) იხ. გრიგოლ ორბელიანი.

ავიდა 1907 წ. 11 თებერვალს და მაშინვე მთელს ქვეყნიერებას აუწყა, რომ ამიერიდან სპრსეთი კონსტიტუციონალური სახელმწიფოაო. მე წავიკითხე იმისი სიტყვა, რომლითაც მან მეჯლისის დებუტატებს მიმართა და გამაკვირვა იმისმა ბრძნულმა, ღრმა პატრიოტულმა სიტყვამ. რვა თვის შემდეგ ტახტზე ასვლისა, ნოემბერში მეჯლისმა სასახლეზე ხარჯები ერთი მილიონით შეუმცირა მას და ამ გარემოებამ ისე საშინლად გააბოროტა შაჰი, რომ კონსტიტუციას აშკარა მტრობა დაუწყა. 1908 წ. 23 იანვარს მან მეჯლისის მოსპო და ხალხის მიერ არჩეული დებუტატები იქიდან გამოაძევა და იფრინა. საქმე იქამდის მივიდა, რომ საქვეყნოდ გამოაცხადა, კონსტიტუციას სპარსეთში სამუდამოდ უსპობო. ამან აღძრა და აადღევა სპარსელები და მთელს ქვეყანას მოედვა დიდი ანარხია, რომელმაც აიძულა რუსეთი და ინგლისი, სპარსეთის ამბებით ეს ორი მეტად დაინტერესებული დიდი სახელმწიფო, მათ შორის დადებული პირობის თანახმად, ჯარები შეეყვანათ სპარსეთში: ინგლისს-სამხრეთის და რუსეთს-სპარსეთის ჩრდილოეთში.

1909 წ. 5 მაისს მაჰამედ-ალიმ გამოსცა მნიჭესტი და ქვეყანას აუწყა, რომ კონსტიტუცია არის ერთად-ერთი საშვალეობა, რომელიც იხსნის გატანჯულ სპარსეთის ერსო. ეს იყო მერვეთ ფიცის მიღება, მაგრამ არ გასულა ერთი თვეც და შაჰმა კიდევ გასტეხა ფიცი და ამისთვის იგი, როგორც ვიცით, 1909 წ. 3 ივლისს ტახტიდან ჩამოაგდეს და სამშობლოდან გააძევეს.

მას აქეთ სპარსეთში დამკვიდრდა მეჯლისი.

მაგრამ სპარსეთის ახალგაზდა მეჯლისის ერთი დიდი დაუძინებელი მტერი ყავს იმ თავითვე და ამ მტრის შიშობებით აღვის ქალაქიდან ყოფილი შაჰი მოხერხებულად გააპარეს და თავი ამოაყოფინებინს პირდაპირ სპარსეთში სწორეთ იმ ღროს, როცა პოლიტიკური ცა დაპლომატთა სიტყვისა არ იყოს, ტყვიის ფერი ღრუბლებით შეიმოსა: ავსტრი-უნგარეთი,

იტალია და ოსმალეთი ბალკანეთის აწეწილ საქმეებზე არიან გადაკვდარი, ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია მაროკოს ჩასჭიდებიან. მეჯლისის დაუძინებელმა დიდმა მტერმა, რასავირველია, ისარგებლა ამ მომენტით და ამ უბედურმა მაჰამედ-ალიმ საბედისწეროთ კვლავ სპარსეთში ამორგო თავი...

ძალიან მოტყუებულა მაჰამედ-ალი მეჯლისის დაუძინებელს მტერს თუ დაუჯერა, რომ წადი სპარსეთში და კვლავ გამოაცხადე შენი თავი უცოდველ დესპოტათო, მე ხელს შეგიწყობ, რითაც კი შეგძლება და ევროპას კი შენს წინააღმდეგ სამოქმედოთ, ხომ ხედავ, ახლა არ ცალიაო. რატომ დაივიწყდა ყოფილ შაჰს, რომ ევროპა არც წინათ გარეულა მის საქმეში და მარტოდ მარტო, სრულიად სხვის დაუხმარებლად სპარსეთის ნიჭიერმა ხალხმა მოახდინა სამაგალითო რევოლიუცია და ჩამოაგდო იგი ტახტიდან სამუდამოდ. და ახლაც უნდა დარწმუნდეს შაჰად ნამყოფი, რომ მისი „მეგობარი“ ისევე ვერაგულად მიატოვებს მას გაჭივრების დროს, როგორც ჩვენი სახელოვანი ერეკლე II მიატოვა გენერალმა ტოტლენბენმა ზედ ბრძოლის ველზე (ასპინძის ომი), რომ ოსმალეთთან დიდს ომში და ალა მაჰამედ-ხანის შემოსევით საქართველოს ბოლო მოღებოდა...

ისტორიას, თუნდაც ეს ისტორია სხვა ერებს ეკუთვნოდეს, არ უნდა ივიწყებდეს ჭკუიანი ადამიანი...

ამასთანავე ინგლისს და რუსეთს პირობა აქვთ შეკრული, რომ სპარსეთის ნეიტრალიტეტი, ესე იგი ხელშეუხებლობა დაიცვან.

დღეს მთელი ახალგაზდა სპარსეთი და მისი ცენტრი თეირანიც ზღვასავეთ საშინლად ბობოქრობს... დღეაღეს: იმართება შიტინგები, კრებები, მეჯლისი დღეში ორჯერ იკრიბება დადგენილება დადგენილებაზე გამოაქვთ დი სისრულეში მოყავთ ყოველივე მხოლოდ მაშინ, როცა ამას ამტკიცებს შეერთებული სხდომა მეჯლისისა, მინისტრთა კაბინეტისა და კონსტიტუციონალური პარტიების ცენტრალური კაბინეტი.

აი, ახლა ამ წამს, გაზეთმა მოიტანა ამბავი, რომ მეჯლისში დემოკრატთა ლიდერმა დეპუტატებს მოაგონა საზრანგეთის დიდი რევოლიუცია და სხრჩობელა და გამოსთქვა იმედი, რომ მალე მოესწრებიან რეაქციონერების და ყოფილ შაჰის სამაგალითოდ დასჯას...

ამ ეპიდ მთელი ქვეყნიერების თვალისპირეთს შესტკერის, რომელიც მალე დაუმტკიცებს მას, თუ რა უშუღია გენოსის ფირდუსის ჩამოპავლობას და მეჯლისის დაუძინებელს მტერსაც შეარცხვენენ, თუ სირცხვილი-სა მას კიდევ შეჩნია რამე.

ახლო მომავალი შუქს მოფენს ყოველივეს.

ხომჯგა.

## წალმა-უკულმა.\*

(მოთხრობა კირილე წუთისოფელელისა)

ლიზა დაფიქრდა და მწარე ნაღველი წამოაწვა გულზე... „შავო ბედო, უბედურო! — წამოიძახა მან ოხვრით, ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ; — ვის გავუოლივარ?! ამას არავითარი სჯული არ ჰქონია! ან რა აზრი ჰქონია საზოგადოთ!... ღმერთო, ღმერთო! შენ მსასოებელს რათ მარგუნე ასეთი ბედი?... სახიერებამ მომატყუა მე უბედური! რა მშვენიერ ქურჭელში რა აყროლებული სასმელი მდგარა!... ვიცი, რომ ჩემი ბედი დამწვარა; კოლია ტყის ნადირზე უარესი ყოფილა; მისი კმაყოფილება სუკის მწვადებში, კუჭის გაძლომაში, აბრეშუმის კაბებში ყოფილა; მის გულზე არავითარი სათნოება, კეთილი მისწრაფება და ზნეობრივი კეთილ-შობილება არ წერებულა. ოჰ, ჩემო თავო! „ხატებს დავამტვრევო პირჯვრისწერა სისულელეაო, სხვისი ტირილი შენი კმაყოფილება ისათვის უნდა გინდოდესო, ოღონდ ფული და ქონება შეიძინე და ამის გამო ადამიანიც რომ შეიწირო მსხვერპლად, ეს არაფერი არ არისო, ცოდო-მადლი ხალხის შესაშინებლათ არის მოგონილიო, და ღმერთო ჩემო! ვინ

\*) იხ. „ზინ. საქ.“ № 22.

იცის, მის თავში რამდენი-რამ სხიდაგლე არ ნატრიალებდა... ჰმ, ჰმ, ჰმ. რათ მიწოდდა მისი სილამაზე, რაინდული შეხედულობა, სიზღიდრე, ან რამე, რომ ამხანაგათ არ ვარგებულა?! ეტყობა, რომ ამას სკოლა თვალითაც არ უნახავს, ერთი წიგნიც არ წაუკითხავს!.. „პატარაობიდან სოხუმში ვარ გაზდილიო“, — ამბობს; იქნება სულ შარლატნებთან სცხოვრობდა და რაღა იქნება? ეს საეჭვო აღარ არის... ჩემო თავო! თავიდან ფეხებამდე სულ „ბოსიავკური“ აზრებით ყოფილა გაუღწეოთილი... ღმერთო მალალო! თუ კოლიამ აზრი არ შეიცვალა, ცოტათ მაინც განათლებებაში არ შედგა ფეხი და აღამიანურ აზრს არ დაადგა— შეიწირე ჩემო სული... მე უბედურს ქუთაისშივე ამერჩია ამხანაგი და მეცხოვრა; ღარიბი ყოფილიყო, სულ არაფერი არ ჰქონოდა, მაინც ბედნიერი იქნებოდა; აზრით ამხანაგს რა ჯობია ქვეყანაზე? მამა ჩემი ხუთ ჩვენისთანას დააჩენდა, მაგრამ „ინაურ ხუცებს შენდობა არა აქვსო“, რომ იტყვიან, მართალი ყოფილა... ვეფხვივით ვაჭკაცი რომ ვნახეთ, მე და დედა ჩემს სული წაგვივიდა; კი არ გვიკითხავს რა ხასიათის და მიმართულებისა იყო. მამა ჩემს, რაღაც გულით არ უნდოდა. ალბათ, ტანს უგრძობენ... ვაი ჩემო თავო!“ — სთქვა ნაღვლიანათ ლიზამ და მიწვა. ის ერთობ მწარე ფიქრებში გაეხვია და ამ ფიქრებში ჩაეძინა კიდევ.

არც კოლია იყო კარგს გუნებაზე: „ეს რა მოლოზონი მომიყვანია შენი ქირიმი? — ამბობდა ის თავისთვის, — რას მიქარავს? სულელ დედ-მამას შევიღო სულელურად გაუზღია!... მამა მის ბერივით დოუყენებია წვერი, თითქო გლოვობს ვისმესო და ყოველ წამზე ღმერთი აკერია ენაზე... „ხატი მიყიდო“, — ჰმ! ახლა იმის ქეიფზე ხატები უნდა დავკიდო ოთახებში და იმას უნდა უწევას სანთელ-საკმეიელი და მეც ამას უნდა ვუყურო!... ემ, სულელო! ძალზე გატიტვლეული გოგო-ბიჭები რაღაცას პურტყულობენ თეატრში და იმიზე უნდა იტიროვო... „ზნეობო, სარწმუნოებო“, — ჰაი გიდი, რა ბიჭს ატყუებ-

ბენ, ვის უქედავენ ყურებს? მაგ ჭკუით რომ მეარა, ახლაც მშვიერი ვეგდებოდი სოხუმის სამიკიტნოებში... არაფელია, მე შენ გადაგიყვან ჩემს ჭკუაზე. ზნეობის და სარწმუნოების მოცემული მე არაუფელი გამაჩნია; მე ჩემს მარჯვენას აუნთებ სანთელს და არა ღმერთს, ან ხატს...“ ამ აზრით, ის ჩვეულებრივად ადრე და ბრუნდა, რადგანაც ლიზა ცოტა განაწყინებული დასტოვა. შინ რომ მოვიდა, ლიზა მძინარი დაუხვდა, დაუჯდა წინ და ფრთხილად გამოადვიდა. ლიზამ კოლია რომ ნახა, ერთი ჩაიციხა და წამოდგა. კოლია ლაპარაკის გუნებაზე იდგა, თუ ლიზას გასამხიარულებლად განგევ მოუყარა თავი მასალებს, ერთობ დიდხანს ილაპარაკა, მხოლოდ იმ ფარგალში, რაშიდაც ის გაწაფული იყო, რაც ლიზას სმენას სრულიად ვერ აკმაყოფილებდა. მალალი და საზოგადო შინაარსის აზრები, სამავალითოდაც არ წამოცდენია კოლიას, რაც ლიზას გულს უკლავდა. ლიზა თუმც ყურს უგდებდა კოლიას და ხანდახან მკრთალადაც ჩაიციხებდა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ძალ-დატანებითი და ქალურ სინაზეს უფრო ეკუთვნოდა, ვიდრე იმ დაჯერებას, რომ ვითომც კოლიას აზრებს გამოეწვია ეს უგულო-უღაზათო ქიატი საცილიბილიისა... ლიზას ძალიან უნდოდა, რომ კოლიას თავისი თავ-გადასავალი ეამბნა, მაგრამ ამას კოლია არ ამხელდა; მან რადენჯერმე მიიღო ამის შესახებ კოლიასაგან უარა; ამის გამო ლიზა უფრო მოხერხებულ დრო და შემთხვევას ეძებდა კოლიას წასრულის გამოსაშკარავებლათ... სადამოს ცოლ-ქმარი სასეირნოდ გაემგზავრნენ. შეუერთდენ ნაცნობთა გუნდს და დაიწყეს ბაღში ტრიალი... ყველას მოსწონდა ლიზა, როგორც სახით, ისე ყოფაქცევით; აქებდენ და აღიდებდენ მას. ყმაწვილ-კაცებიც ხომ ერთი-მეორეს ასწრებდენ მის გაცნობას და, მის კავალრობით თავი ბედნიერად მიაჩნდათ. კოლიას სურდა, იმ დილის წყენა ლიზასთვის გულიდან გადაეფერა და ამის გამო მეტად თავაზიანად ირჯებოდა, ფულსაც ხარჯავდა და საზოგადო მხიარულების გამოც წვევს რამეებსაც ოხუნჯობდა; გარდა ამისა შემ-

თხვევასაც ხელს უწყობდა, რომ ლიზას კავალერებთან თავისუფლად ემუშაოდა. ძალიან გვიან ცოლ-ქმარი დაბრუნდა შინ ნაიამოვნი და კმაყოფილი. ლიზა, გარეგნობით, მართლაც კმაყოფილი იყო, მაგრამ ის მწარე ფიქრები მაინც არ შორდებოდენ, რაც კოლიას შესახებ იგრძნო მან იმ დღიდან. მას უტრიალებდა თავში ორი აზრი, ერთი: სურდა თავის ქუთუხე გადაეყვანა ქმარი, მაგრამ ამასვე ფიქრობდა ქმარიც და ჯერ კიდევ საკითხი იყო რომელი ერთა მათგანი უფრო ძლიერი გამოდგებოდა ამ მიზნის მისაღწევად; მეორედ: უნდოდა ლიზას გაეგო კოლიას წასრული ცხოვრების ისტორია, რასაც კოლია იმდენად მალავდა, რამდენადაც ამის გამჟღავნებას ლიზა თხოვდა მას.

ერთ დღეს, სადილის წინ, ლიზამ წერაილი მიიღო კოლიასაგან, რომ ის სხვაგან იყო სადილად მიწვეული. საღამო ჟამს, კარგა შეზარხოშებული კოლია დაბრუნდა შინ და სიცილ-ხარხარით მიესალმა ლიზას. ერთი გაიარგამოიარა და სთხოვა სასეირნოდ გაჰყოლოდა.

— არ შემძლია დღეს გავლა კოლია; მაპატივე, — უთხრა ლიზამ.

- შენ გენაცვალე ლიზიკო.
- კოლია, მოისვენე შენი ქირიმე.
- წამომყევი და გეტყვი.
- რას გეტყვი კოლია?
- რასაც შენ ყოველთვის მთხოვე.
- ტყუილი!
- ქეშმარიტად გეტყვი.
- აბა შემომფიცე.
- შენ ნუ მომიკვდები გეტყვი.
- მაშ კარგი, ჩავიცვამ და წვევიდეთ.

ლიზა უცბად შორითო სადად და გაჰყვა კოლიას. ისინი შევიდნენ ბაღში, ჩამოჯდნენ თავისუფალ სკამზე და კოლიაც მოჰყვა თავის თავგადასავალს, რომელსაც კარგა ვრცელი წინასიტყვაობაც უძღვნა, რომელშიაც ის მჭერმეტყველურად ხატავდა, რომ თუმც მას ღმერთი ყვარებოდა და სწამებოდა, ის უგროშუკაპეიკოდ დარჩებოდა; რომ ღმერთი, რომე-

ლიც ასწავლის ადამიანს ჩიტოვით ცხოვრებას, ცხოვრებისათვის საჭირო არ არის; რომ კაცს, არსებობისთვის ბრძოლის გზაზე მაშაც რომ გადაეღობოს, არც ის უნდა დაზოგოს; ერთს ჩამოქვეითებით და თუ საჭირო შეიქმნას სიკოცხლის მოსპობითაც, მეორე უნდა აღსდგეს, რასაც არ უნდა ეღობებოდეს წინ არაერთი ღმერთი, არავითარი ზნეობა, ცოდვა-მადლი, სინიდისი, ტირილი და შებრალება ადამიანისა... კოლია, ამ წინასიტყვაობას და მისი თავგადასავლის მოთხრობას აღმზრდელ მნიშვნელობას აწერდა და ფიქრობდა, რომ ასეთი მოძღვრებით ის შეუთვისებდა ამხანაგს თავის რწმენას და შეხედულებას... წინასიტყვაობას თან მოჰყვა მისი ცხოვრების ისტორიაც და ყველაფერი დაწვრილებით უამბო ყურთა-სმენად გარდაქცეულ ლიზას, რაც ჩაედინა და რა ნაირად ეშოვნა ფული და ქონება.

ჯერ კიდევ წინასიტყვაობამ გულზე ზაფერა შემოჰყარა ლიზას და მოთხრობამ მთლად თვალები გამოუბნია... ის წაიქცეოდა, რომ კოლიას მკლავში ხელი არ გაეყარა. „რა მოგივიდა, რა დაგემართა ლიზა?“ — მზრუნველობით ჰკითხა შეწუხებულმა კოლიამ.

— მგონია ჰაერმა მაწყინა, გული წამივიდა, — მიღეულის ხმით უთხრა ლიზამ.

— აგერ ფაიტონი და საავადმყოფოში წაგიყვან.

— არა, შინ; — შინ წამიყვანე.

ლიზა რომ ფაიტონმა გააქანა, სხვანაირად იგრძნო თავი: „ცოტა უკეთ ვარ, მგონი გაიარა,“ — უთხრა მან კოლიას, როცა შინ მივიდნენ, მაგრამ კოლიამ მაინც დაიბარა ექიმი. ლიზას საექიმო არაფერი სჭირდა და ექიმსაც რაღაც წვეთების მეტი არა გამოუწერიარა. ლიზას პირველმა ცეცხლმა გაუარა; ის მოკეთდა, მაგრამ გულზე კი ლოდინით აწვა კოლიას მოთხრობა. „ღმერთო ჩემო! — ამბობდა ის თავისთვის, — ეს ავაზაკი ყოფილა!... ჩემო თავო! ვინ იცის, ვისი სისხლით არის ეს სახლი მოსვრილი? ვინ იცის, ვისი წანაგლეჯით ვსაზრდობთ? საქმელი შემძულდა; მგონია, რომ გველ-ბაყაყების კრძები მიძიეს წინ.

თვალ-წინ მიდგას ქორ-არწივები, რომელნიც ნატაცები ბაყაყებით, ხელიკებით და გველეზით ასაზრდოებენ თავიანთ ბარტყებს! რაღა კოლიას სილამაზე, მისი მოყვანილობა, საამური შეხედულობა, გვარი—მამის-შვილობა, ყველა იმ სისაძაგლე-აფაზაკობასთან, რაც მას ჩაუდენია? არაფერი—სულ არაფერი. ნეტა ჩემს ბედსა, რაც შეხედულობა აქვს, იმის მესამედის არ ქონდეს; რაც ქონება აქვს, იმის ნახევარიც არ ქონდეს, სულ არა გააჩნდესარა და აფაზაკი არ ყოფილიყო... ოჰ, მე უბედური! რას ვეხვეწებოდი, რომ ეამბნა მისი თავგადასავალი? რათ მინდოდა? უკეთესი არ იყო, რომ დ მალული ყოფილიყო? ან თვითონ რაა ტომ გაამხილა ეს სისაძაგლე მაგ უბედურმა? მაგრამ მას ამით თავი მოსწონს კიდევ... რათ უნდა გამიკვირდეს, რომ მას ღმერთი არ სწამდეს, ხატი არ უნდოდეს, სინიდისის მტერი იყოს, პატიოსნება სძულდეს! ან რა ზნეობა მოეთხოვება მას? ეს ტყის ნადირზე უფრო საშიში ყოფილა!... ჩემო თავო უბედურო!...

ასეთი აზრები ღიზას მოსვენებას არ აღეცდენ; მას თავიდან არ შორდებოდა კოლიას გარყვნილი ცხოვრება; ამით გული უწუხდა, ამით სწეულდებოდა, მაგრამ თავის უქეთოხრას სხვა და სხვა მიზეზებს აწერდა და ნამდვილ მიზეზს მაინც არ ამხელდა. ერთ დღეს მან სთხოვა კოლიას, რომ ის თავის მამის სახლში წაეყვანა დროებით, რაზედაც სიამოვნებით გამოუცხადა კოლიამ თანხმობა. რა უნდოდა ღიზას? მას განკურნება სჭიროდა. ის სულიერად დასწულდებულიყო, მოსვენება არ ქონდა, კოლიას ცოდვებით აღვსილიყო. მას თავის თავი ვერ განკურნა; ეჭირებოდა სულიერი ეჭიმი, რომ გაენდო ის საიდუმლო ცოდვები, რომელნიც ნელ-ნელა ღრღნიდენ მის გულს. კოლიას ცოდვები, მას თავის ცოდვებად მიაჩნდა. „ჯერ ერთია და,—ამბობდა ის გულში,—კოლიას ცოდვების მოზიარედ, რომ არ ვლომადი ღმერთს, არც მარგუნებდა მასთან დაკავშირებას და მეორეთ, მეც ხომ ვსარგებლობ მისი უღმრთოდ მონახვევით: ვსაზრდობ, ვიცავ, ვინურავ და სხ...“ ის დარწმუნებული

იყო, რომ ვერც ერთი აქიმი ვერ განკურნავდა ამ საიდუმლო სწეულობისგან; მას სურდა აეჩინა ისეთი ეჭიმი, რომელსაც გზა გაეხსნა მის გულში დაგუბებული ტბისთვის, გაეშრო ეს ტბაც და იმის ადგილზე დაედვა ისეთი მალამო, რომელსაც შეება-მოსვენება მოეპოვებოდა სულისთვის. ასეთი ეჭიმი იყო მოძღვარი, რომლის წინაშე სწეულების გამელავნება განიკეთა ღიზამ. ამგვარი ეჭიმი, მას შეეძლო ყოველგან მოენახა, მაგრამ ასე არ უნდოდა. იორდანეს აღრჩეული ყავდა ერთი სოფლის მღვდელი, თავის ოჯახის მოძღვრად, რომელიც საკიროების დროს, მოდიოდა იორდანესთან. იორდანეს ცოლ-შვილსაც ძალიან უყვარდა ეს კეთილი ხასიათის და პატიოსნებით განთქმული მღვდელი. ეს იყო ღიზას მოძღვარიც.

კირილე წუთისოფლელი.  
(შემდეგი იქნება).

### წერილი რედაქციის მიმართ.

მ. რედაქტორო!

„შინაური საქმეები“-ს მე 16 №-ში მღვდელი იორანოზ ნიკოლაძე თავის სპასუხს წერილში წინააღმდეგ „Fanius“-ს სხვათა შორის სწერს, რომ მისი უფილი მრევლიდან დაგუტაცია წამოვიდა ქ. ქუთაისში მღვდელმთავართან, რომ ეთხოვა მღვდლის ი. ნიკოლაძის ძველ მრევლში დატოვება, მაგრამ ბლადონინმა დუგლაძემ დაარწმუნა ისინი, რომ საქმისთვის ასე სჯობდა და ისინიც დაბრუნდნენ. ამ წერილის გამო „Fanius“-ი ამა გახუთის მე 20 №-ში მისაყვედურებს, რომ უ-დ. სამღვდელსთან წამოსული შიკება გზას აგადინე, რადგან დაარწმუნე, უ-დ. სამღვდელსთან აღარ გაუშვი და უკანვე დაგაბრუნე და სხვა...

აღნიშნულ წერილებთან გამო „შინაურ საქმეები“-ს შეათხველთა საუურადღებოდ ვაცხადებ შემდეგს: ერთხელ, რიცხვი არ მაგონდება, სპასუხისა გამო, მე შევედი სანაღის დუქანში. იქ იყვნენ სხვა შიკებიც. შემდეგ შემოვიდნენ ვიღაც კაცები — ორი თუ სამი და იკითხეს მღვდელა ნიკოლაძე.

იქ შეიკრათ გამოკითხვით აღმოჩნდა, რომ ისინი არიან ს. ინაშურიძე, უნდათ სოსოკონ უ-დ. სამღვდელს, რომ მღვდელი ნიკოლაძე არ გადმოიყვანოს მათი მრევლიდან, რომ ეს მღვდელი მათ გამოთხოვების და წამოსუფა ქუთაისში. ამ განცხადების გამო სხვა და სხვა აზრი გამოითქვა იქ დამსწრეთაგან, ბოლოს ჩემზე მიუთითეს მოსულ ზიკებს: «აი ბლადონიას აკერ და აბა მაგ რას იტყვას». მე ვითხე უცნობთ: მღვდელი ი. ნიკოლაძე თანახმა არის დარჩეს თქვენს მრევლში თუ არა შეუქა, მიხასუსეს, რომ არ არის თანახმა. მე ვუთქვამ, ჯერ მღვდელი ნიკოლაძე უნდა დაითანხმოს უკან დაბრუნებაზე და შემდეგ სთხოვოთ უ-დ. სამღვდელს შეუქა. მას თავისთვის საუფრობესოთ დაუნახავს თქვენი სოფლიდან ქუთაისში გადმოსვლა, აინჩიეს, დამტკიცეს, გამოგონებულათ კიდევ და დღეს, თუ თითონ არ იქნა თანახმა, ძალით, მისი სურვილის წინააღმდეგ, არა მგონია უ-დ. სამღვდელმა დაგებინოს შეუქა. ჩემი აზრი ეს არის და უ-დ. სამღვდელს რას იხუბებს, თუ ახვალთ, გაიგებთ შეუქა. საქმე ამნაირად იყო; მღვდელს ნიკოლაძეს კი სისწორით არ აქვს მოყვანილი ჩემი ნათქვამი. უ-დ. სამღვდელსთან წასვლა მე არ დამიშლია მოსულ ზიკებისთვის, არც უფლება მქონდა ამისი. მე მოსოფლ ჩემი აზრი გამოთქვი აღნიშნულ საკანზე. კიდევ რომ დამეშალა, ისინი მაინც უნდა მოსულიყვნენ უ-დ. სამღვდელსთან, თუ კი მათ მრევლისაგან მართლა რაიმე მოწოდება იქნებოდა.

ბლად. მდ. თ. დუგლაძე.



დეკანოზი იოსებ კიკნაველიძე.

წელს, 19 მარტს, ს. კიკნაველეს (ქუთაისის მაზრა) გარდაიცვალა, ღრმად მოხუცებული, 90 წლის დეკანოზი, მოსე კიკნაველიძე. ეს ქრისტეს ეკლესიის, თითქმის 60 წლის, მსახური, დიდი სწავლა-განათლებით არ უოთუა აღჭურვილი, მაგრამ, მას, რაც მისთვის საჭირო იყო, როგორც მღვდელს, შეიძლება ითქვას, ზედ-მიწევნილ შესწავლილი მქონდა. ღმერთს დაუთოვდებოდა იგი

ჯერ მდიდარი ატეხულობით და მერმე ნიჭით ახლავანი, ბრკე. მაღალი შუბლა, ფართე მხარბუჭი ამ-შეკრება ამ მოხუცს. ამასთან იყო ისეთი მტოდ-ნი სდგეთო წერილისა, რომ უოველივე ტეშმარიტებს იმწამსვე სდგეთო წერილის სიტუვებით დაგომტკიცებდათ, დავითნი სომ ზეზირად იცოდ და წამ-უწუმ, სდაც დასჭირდებოდა, ამბობდა მის სიტუვებს. წირვა ისე უვარდა, რომ უოველ დღეს შეესრულებოდა, ის უნდოდა. სახარებას და კონდაკს თავისებურათ ჰკითხულობდა და ასე გეგონათ წიგნში კი არ კითხულობს, ზეზირად ტეშუსაიფებათო, კონდაკში მაინც იშვიათად ჩახედავდა, რ-დ-კან ზეზირად იცოდა თითქმის საიდუმლო ღოცებში და მშვიდობიანები სომ რაღა ლამაზაკი უნდოდა. არც ერთ წირვას არ გაათავებდა, რომ ხალხი არ დაემძღვრა შესაფერის ქადაგებით. საზოგადოდ, უოველს მარჯვე დროს, მზად იყო მრევლისათვის სიტყვა ეთქვა. ამასთან შესაფერისი ქველმოქმედიც იყო. ეკლესიები თვის სოფელში თვისას მაცადინებოთ შეამეო და ააშენა, შეოლას ადვილი შესწირა, ღარიბ-ობოლს ეწეოდა თვის საშვადე-ბიდან.

სიკვდილის მოახლოებას გრძობდა და ხშირად ამბობდა: „დიდი გზა მაქვს გასაკლელი, სდაც-ცა იასული მომადგება კარზე და, ვაი ჩემი ბრალი, საგზალი არ მეკულება საკმაო-ო“. თითონ კარდაცვალების დღეს აღსარება სთქვა, ეზარა მო-წიწებით წმ. საიდუმლოთ, დაიკიდა ღფარი და, მატ-რიარქივით, ჯერ დალოცა იქ მოოთი თვისი შე-ლა და შეილი-შეილი, მერმე თვისი სამწესო და ბოლოს უოველი ერა.

საუკუნოთ იეოს ხსენება შენი ღირსო მამა!

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მავალიძე.  
გამომცემელი იოსებ ლიჭავაძე.

# სამხატვრო სახელოსნო

ა. ი. ყირიაკოვისა. ქ. ქუთაისში.

ღებულობს უოველკვარ სამხატვრო-საეკლესიო სამუშევრს. ასრულებს დროზე, სუფთათ, საიმედოთ და სინდისიერათ.

ფასება ნახატების დირსებაზე და წამახუჯა დამოკიდებული და უოველ შემთხვევაში საშუალოა.

სამხატვროს არავისთან დამოკიდებულება და კავშირი არ აქვს და ამიტომ ყველას სთხოვს პირადათ მასთან მოიქცენ და არ დაუჯერონ ზოგიერთ ჩარჩ მხატვრებს და მოიჯარადრეებს რომლებიც ჩვენი ფირმის სახელით სარგებლობენ საქმის აღების დროს სოფლებში. სამუშევრს პირობით ვღებულობთ, თუ მოწონებული არ იქნება სასულიერო მთავრობისაგან უკანვე ვიბრუნებთ და სხვას ვასრულებთ იმავე მთავრობის შენიშვნისამებრ.

ჩვენი ფირმა სარგებლობს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის უოველად საქმედგელო **ლაონიდას** ნდობით და გვაქვს მათი მეუფებისაგან შესაფერი მოწმობა.

ადრასი: „შინაური საქმეების“ რედაქცია ან ივანოვის ქუჩა № 14.

## „შინაური საქმეები“-ს რედაქციაში იყიდება:

კლიროვის უწევებები ახალი ფორმისა და უველა უწევებები (ВЪДОМОСТИ) წლიური საბლადოჩინო ანგალიძებისათვის. ბლანკები „მშობის“ გამოცემა და ფულიც მას უკუთვნის. ფასი ბლანკებისა—რწვევილი 5 კაპ. ვინც ორასზე მეტს დაიბარებს—4 კაპ.

ხვედრი ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Правленіе религиозно-просвѣдительнаго „братства“.

Ольденбургская д. № 5.

სტამბა „პრომა“ დაბა უფიროლაში. ● Типографія „Трудъ“ въ м. Квирилы.